BRITISH COUNCIL

ARTS UNIVERSITY PLYMOUTH

CRAFTING FUTURES

Craft Research and Education Development Projects in the South Caucasus 2019-2022

Programme Report by Arts University Plymouth, supported by British Council

Copyright © Arts University Plymouth & British Council

All rights reserved

Written by Dr Kim Bagley and Prof Judith Noble

Editorial design by Joshua Kempson

სარჩევი

წინასიტყვაობა	i
შესავალი	1
საქართველო	7
დანართები	21

პროგრამის ანგარიში: რეწვის სექტორის კვლევა და განათლების განვითარების პროექტები სამხრეთ კავკასიაში, პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტი 2019 - 2022

მოცემულ ანგარიშში აღწერილია პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტის მიერ 2019 - 2022 წლებში შესრულებული კვლევითი და საგანმანათლებლო პროექტი. პროექტი განხორციელდა ბრიტანეთის საბჭოს Crafting Futures პროგრამის ფარგლებში და მისი მიზანი საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში რეწვის სექტორის და რეწვის საგანმანათლებლო პრაქტიკის შესწავლა იყო. ანგარიში მოიცავს მთლიანი პროექტის მიმოხილვას და შედგება როგორც გაცნობითი ნაწილისგან, ასევე ცალკეული თავებისგან ყველა ზემოთჩამოთვლილ ქვეყანაში შესრულებული სამუშაოების შესახებ. ანგარიშის ინგლისური ვერსია ხელმისაწვდომია როგორც ნაბეჭდ, ასევე გადმოსაწერ PDF ფორმატში. თითოეული ქვეყნის ქვეთავების თარგმანი ხელმისაწვდომია ონლაინ. ასევე, მათ ვისაც გსურთ კითხვის გაგრძელება - თითოეულ ქვეყანაში ჩვენი კვლევის სრული მიმოხილვა შეგიძლიათ იხილოთ ონლაინ (იხ. ქვემოთ).

გვსურს მადლობა გადავუხადოთ ბრიტანეთის საბჭოს პროექტის ფინანსური მხარდაჭერისთვის და მისი პერსონალის მიერ გაწეული სამუშაოსთვის. ასევე გვსურს მადლობა გადავუხადოთ ყველა ჩვენს პარტნიორს საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში, მათ შორის: სამინისტროებს, ეროვნულ ორგანიზაციებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ხელოვნებისა და კულტურის სექტორის წარმომადგენლებს და რა თქმა უნდა, რეწვის ოსტატებსა და დიზაინერებს, რომელთა მხარდაჭერამ, სტუმართმოყვარეობამ და ენთუზიაზმმა ეს პროექტი შესაძლებელი გახადა.

წინასიტყვაობა

ჩემთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ ბრიტანეთის საბჭოს პროექტის, Crafting Futures-ის შემაჯამებელი ანგარიში. პროექტი 2019 წელს დაიწყო და პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განხორციელდა. პროექტი მიზნად ისახავდა შემოქმედებითი განათლების კონტექსტში რეწვისა და ხელოსნობის მნიშვნელობის გადაფასებას.

პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტი სპეციალიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც შემოქმედებითობას ანიჭებს უპირატესობას - ამაში გადაწყვეტილებების მიგნებაზე ორიენტირებული სწავლება და კვლევების პრაქტიკა გვეხმარება. უნივერსიტეტში ასევე დიდ ყურადღებას ვაქცევთ სოციალურ სამართლიანობასა და ეკოლოგიურ მდგრადობას. ჩვენი საერთაშორისო კვლევითი პლატფორმის - Making Futures - მეშვეობით მიღებული მრავალწლიანი გამოცდილების გამო, ამ პროექტში ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ძალისხმევა მიმართული იყო ადგილობრივი რეწვის დარგების და მათი შემოქმედებით განათლებასთან კავშირის გადაფასების ხელშეწყობა. კერძოდ, ჩვენი მთავარი გამოწვევა იყო თითოეულ ქვეყანაში რეწვის სექტორის სიცოცხლისუნარიანობის და მდგრადობის ხელშეწყობა რეწვის ოსტატებისთვის წარმოების, ბიზნესისა და მარკეტინგული უნარების გაუმჯობესების მეშვეობით.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს ბრიტანეთის საბჭოსა და სამხრეთ კავკასიაში პროექტის პარტნიორების ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობას. ის ასევე ხაზს უსვამს მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას ახალი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესაქმნელად და გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. ეს ნაშრომიც პროექტის ყველა მონაწილის თავდაუდებელი მუშაობის დასტურია. მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ბრიტანეთის საბჭოს, პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტს და ყველა ადამიანს რომელიც საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ხელოვნებისა და კულტურის, განათლების და ტურიზმის სექტორებში მოქმედ პარტნიორ ორგანიზაციებში მუშაობს და ჩვენი მიზნების მიღწევაში დაგვეხმარა. ერთად მუშაობა მუშაობს.

პროფესორი პოლ ფილდსენდ-დანკსი BA(Hons) MA SFHEA FRSA
ვიცე-კანცლერი და აღმასრულებელი დირექტორი
პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

შესავალი

პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტი არის სპეციალიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში, რომელიც მსურველებს სთავაზობს პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო კურსებს ხელოვნების, მედიისა და დიზაინის სხვა-და-სხვა სფეროებში, განსაკუთრებული აქცენტით რეწვისა და დიზაინის მიმართულებებზე. უნივერსიტეტის ძირითადი ფილოსოფია უკავშირდება შემოქმედებით განათლებას, რომელიც აუცილებლად ითვალისწინებს სოციალური და კლიმატური სამართლიანობის და მდგრადობის აუცილებლობას. უნივერსიტეტის მიზანია, რომ სწავლების შედეგად სტუდენტები მოაზროვნე, დაფიქრებულ და შემოქმედებით ხელოვანებად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც არა მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ნამუშევრებს შექმნიან არამედ ასევე სამყაროს განვითარებაში დადებით წვლილს შეიტანენ. უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევის პლატფორმა - Making Futures - იკვლევს რეწვის ოსტატების კულტურულ პრაქტიკებს და ფილოსოფიებს. ის აერთიანებს შემოქმედთა, მკვლევართა და მოაზროვნეთა საერთაშორისო საზოგადოებას. საზოგადოების მიზანია, რომ მისმა წამომადგენლებმა ერთმანეთს გამოცდილება და იდეები გაუზიარონ და შედეგად დიზაინისა და რეწვის ისეთი ახალი მეთოდები შექმნან, რომლებიც ჩვენს სწრაფად ცვალებად სამყაროს სარგებელს მოუტანს.

2019 წელს უნივერსიტეტმა ბრიტანეთის საბჭოს Crafting Futures პროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა მიიღო. დაფინანსებული პროექტის მიზანი სამი წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის (კერძოდ კი, საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში) რეწვის და განათლების სექტორებში მომუშავე პარტნიორებთან თანამშრომლობით, ადგილობრივი რეწვის სექტორის კვლევა და ახალი საგანმანათლებლო ინიციატივების შემოთავაზება იყო. პროექტში ყველა ჩამოთვლილი ქვეყნიდან მონაწილეობა მიიღეს მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე პარტნიორებმა და ორგანიზაციებმა. პროექტი ჩატარდა ურთიერთგაგების, ერთმანეთის მიმართ პატივისცემის პრინციპების დაცვით. ყველა მონაწილისთვის პროექტი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ცოდნის შეძენის და შემოქმედებითობის გამოვლენის შესაძლებლობა. მის შედეგად ჩამოყალიბდა რამდენიმე გრძელვადიანი შემოქმედებითი თანამშრომლობა და ახალი ინიციატივები. ვიმედოვნებთ, რომ მიღებული გამოცდილება ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიაში რეწვის სექტორის და რეწვის საგანმანათლებლო ინიციატივების მომავალ განვითარებას. ანგარიში წარმოადგენს პროექტის და მისი შედეგების შეჯამებას.

პლიმუთის უნივერსიტეტმა დოქტორი კიმ ბეგლი პროექტში Making Futures კვლევის პროგრამის წარმომადგენლად და წამყვან მკვლევრად, ხოლო ასოცირებული პროფესორი ჯუდით ნობლი (აკადემიური კვლევების ხელმძღვანელი) - პროექტის მენეჯერად, დანიშნა. პროექტის დასაწყისში, კავკასიის შესახებ საკმაოდ მწირი ცოდნა გვქონდა. ამ მხრივ, ძალიან დაგვეხმარა ბრიტანეთის საბჭოსთან თანამშრომლობა. საბჭოს Arts Manager-ებმა თითოეულ ქვეყანაში არა მხოლოდ პარტნიორ ორგანიზაციებთან დაგვაკავშირეს, არამედ ასევე გაგვიზიარეს მრავლისმომცველი ცოდნა თავისი ქვეყნების, კულტურის და მათი რეწვის, ხელოვნების და განათლების სექტორების შესახებ. ჩვენი აზრით, მათი ენთუზიაზმი და თავდადება ჩვენი პროექტისადმი მისი წარმატების მთავარი საფუძველი იყო. ასევე აღსანიშნავია ამ ქვეყნებში ბრიტანეთის საბჭოს დირექტორების და სხვა ძირითადი პერსონალის მხარდაჭერის მნიშვნელობა.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაცია პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტში. მარცხნიდან: ანა ჩხიკვაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მაია დარჩია, ბრიტანეთის საბჭო; ვარაზდატ ხაჩუმიანი, რომანოს მელიქიანის სახელობის მუსიკალური კოლეჯი, ერევანი; ნარეკ ტოვმასიანი, ბრიტანეთის საბჭო; თამთა შავგულიძე, თბილისის სამხატვრო აკადემია; დოქტორი სტივენ ფელმინგემი, პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტი; დილარა იბრაჰიმოვა, ბრიტანეთის საბჭო; ტიგრან თადევოსიანი, ლორის რეგიონალური სახელმწიფო კოლეჯი, ვანაძორი; ანა მნაცაკანიანი, პ.ტერლემეზიანის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო კოლეჯი; მატიას შორტკუკი, პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტი; ასმერ აბდულაევა, Asmart Creative Hub/სახვითი ხელოვნების აკადემია ბაქო; დავით პაპაშვილი, პროფესიული კოლეჯი აისი, საქართველო; ნათია ტრაპაიძე, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, საქართველო; ჯეირან მამედოვა, პროფესიული განათლების ეროვნული სააგენტო, აზერბაიჯანი; აშხენ ხუდავერდიანი, სმითსონის ჩემი სომხეთის პროექტი. ფოტო: პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტი

როცა პროექტს 2019 წელს საფუძველი ჩაეყარა, მისი თავდაპირველი გეგმა მოიცავდა ფიზიკურ გაცვლით და კვლევით ვიზიტებს და სწავლის და სწავლების ტრენინგებს როგორც კავკასიაში, ასევე პლიმუთში. კოვიდ-პანდემიის გამო, მოგვიხდა პროექტის გეგმის მთლიანადა შეცვლა და ღონისძიებების უმრავლესობის ვირტუალურ სივრცეში გადატანა. ეს ყველა ჩვენგანისთვის ახალი გამოცდილება იყო. ამასთანავე, შეიძლება ითქვას, რომ ფორმატის ცვლილება პროექტის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც გახდა რადგან ბევრად უფრო მეტ ადამიანთან, მეტი სიხშირით შევძელით შეხვედრა და გასაუბრება, ვიდრე ამას ფიზიკურ სივრცეში შევძლებდით. ბრიტანეთის საბჭომ მნიშვნელოვანი შრომა გაწია, რათა პროექტის ყველა მონაწილეს ჰქონოდა წვდომა ციფრულ ტექნოლოგიებსა და ონლაინ რესურსებზე.

პროექტის განხორციელების პერიოდი ყველა მონაწილე ქვეყნისთვის ცვლილებებით სავსე აღმოჩნდა. საბჭოთა პერიოდის გადმონაშთები კვლავ შეიმჩნეოდა და მათი გავლენა განათლების სექტორზე განსაკუთრებით ნათელი იყო. ამის მიუხედავად, ჩვენი პარტნიორები თითოეული ქვეყნიდან ავითარებდნენ მუშაობის ახალ, შემოქმედებით გზებს. როგორც ჩვენ აღმოვაჩინეთ, მათ ახალი იდეების და მეთოდების გამოცდის დიდი სურვილი ჰქონდათ. ასევე მნიშვნელოვანია ვახსენოთ, რომ პოლიტიკური სიტუაცია კავკასიაში კვლავაც საკმაოდ მძიმეა. მადლიერნი ვართ, რომ ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები დაგვეხმარნენ ამ კონტექსტის გააზრებაში და ვიმედოვნებთ,

რომ ჩვენ მიერ შემუშავებულმა მუშაობის მეთოდიკამ სათანადოდ უპასუხა სიტუაციის სირთულეს და გაითვალისწინა ყველა ჩართული მხარის განსხვავებული, საყურადღებო ვითარებები.

თითოეულ ქვეყანაში დიდი ენთუზიაზმით და სიკეთით შეგვხვდნენ. რეწვის ოსტატებმა ჩვენს მკვლევრებს თავისი სახელოსნოების კარები გაუღეს და თავისი ნამუშევრები და იდეები გაუზიარეს. მასწავლებლებმა გაგვიზიარეს თავისი სწავლების მეთოდიკა და სრული მზაობა გამოთქვეს როგორც ახალი პედაგოგური და სწავლების მეთოდების შესასწავლად, ასევე ტრენინგებზე და ღონისძიებებზე დასასწრებად.

თითოეულ ქვეყანაში ჩატარდა რეწვის სექტორის კვლევა. ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებების და კულტურის სექტორში მომუშავე პარტნიორების დახმარებით შევძელით კვლევის ასისტენტების შერჩევა. ასიატენტებმა გაიარეს ტრენინგის კურსი, რის შემდეგაც მათ რეწვის ოსტატები თავისი ხელობის, ნამუშევრების მარკეტინგის და ფორმალური და არაფორმალური რეწვის განათლებასთან დამოკიდებულების შესახებ გამოჰკითხეს. პროფესიული განათლების სექტორთან (Vocational and Educational Training (VET)) თანამშრომლობით, საქართველოში და აზერბაიჯანში შევქმენით შემოქმედებითი სწავლის ონლაინ ტრენინგ მოდულები მასწავლებლებისთვის. სომხეთში შევქმენით შემოქმედებითი მეწარმეობის ტრენინგ მოდული. მოდულების შემუშავება მოხდა კვლევის შედეგებზე დაფუძნებით, რათა გვეპასუხა თითოეული ქვეყნის საჭიროებებისთვის და ყურადღება გაგვემახვილებინა სწავლების მეთოდიკაზე რომელიც მოსწავლეების საჭიროებებზეა ორიენტირებული. ჩატარდა ტრენინგის მოდულების ტესტირება და ამჟამად, მათი გამოყენება ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია. ვიმედოვნებთ, რომ მოდულებს ბევრი გამოიყენებს და ისინი მასწავლებლების და პროფესიული განათლების სექტორის ცვალებად საჭიროებებთან ერთად განაგრძობენ განვითარებას. ეს პროექტი ჭეშმარიტი კულტურათაშორისი თანამშრომლების მაგალითი იყო. პროექტის განმავლობაში ვისწავლეთ მუშაობის ახალი მეთოდები და შევქმენით გრძელვადიანი შემოქმედებითი მეგობრობა და პროფესიული ურთიერთობები. ვიმედოვნებთ, რომ ეს ურთიერთობები შენარჩუნდება და მათ საფუძველზე ჩვენს ორგანიზაციებს და ქვეყნებს შორის მრავალი ახალი თანამშრომლობა და პროექტი განხორციელდება.

პროექტი დაიწყო 2019 წლის ბოლოს, როდესაც პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტის პერსონალი სამხრეთ კავკასიაში პირველად ჩავიდა. ვიზიტის მიზანი თითოეული ქვეყნის რეწვის სექტორის და მასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაცნობა იყო. გავიცანით მრავალი ადამიანი და ვეწვიეთ კოლეჯებს, მუზეუმის, რეწვის სახელოსნოებს და ბევრ სხვა ორგანიზაციას. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი იმ გეგმებს, იდეებს, მეგობრულ და სამუშაო ურთიერთობებს რომლებიც შემდეგი სამი წლის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში და სამხრეთ კავკასიაში მრავალ ორგანიზაციას, სტუდენტს, ოსტატს და მასწავლებელს დააკავშირებდა. რეწვის ოსტატებს კარგად აქვთ გააზრებული თავისი ხელობის კულტურული და სოციალური ფასეულობა და მხარს უჭერენ ამ სექტორში არსებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარებას. შესაბამისად, პროექტის მთავარ მიმართულებებად კვლევა და განათლება შევარჩიეთ.

დელეგაციები სამხრეთ კავკასიიდან პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტს 2020 წლის მარტში ეწვივნენ. ვიზიტის მიზანი იყო ქვეყნის ოფიციალურ წარმომადგენლებთან, განათლების სფეროში მომუშავე პროფესიონალებთან და რეწვის ოსტატებთან შეახვედრა და უნივერსიტეტი და მისი სწავლების მეთოდიკის უკეთ გაცნობა. დელეგაციების წევრებმა პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამების

დიდი ბრიტანეთის და საქართველოს დელეგაცია პროფესიულ კოლეჯ აისი-ში, კაჭრეთში, 2019. მარცხნიდან: კიმ ბეგლი, პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტი; კენდალ რობინსი, ბრიტანეთის საბჭო; მათიას შორტკუკი, პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტი; მაკა დვალიშვილი და თამარ კიკნაძე, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; დავითი პაპაშვილი, პროფესიული განათლების კოლეჯი აისი. ფოტო: გიორგი რამაძე.

მასწავლებლებთან ერთად რამდენიმე თემატურ აქტივობაში მიიღეს მონაწილეობა: სტუდენტის ინდივიდუალური ხასიათის განვითარება, ინტერდისციპლინარულობა, იდეების ფორმირება, თამაში, კვლევა და პრაქტიკა, მსჯელობა და ხელობა. დელეგაციებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის სივრცეები, დაესწრნენ საბაკალავრო და პროფესიული პროგრამების ლექციებს. ყველაზე დასამახსოვრებელ მომენტთა შორის პროფესიული განათლების ცენტრში ჩრდილების თეატრის მოწყობა და ერთად ადგილობრივი დევონური ზღვის პროდუქტების დაგემოვნება იყო.

პლიმუთში სტუმრობის დროს, უკვე აშკარა იყო რომ დიდი გლობალური გარდატეხის წინაშე ვიყავით. თუმცა ბოლომდე მაინც არავის გვესმოდა როგორი გავლენა ექნებოდა კოვიდ-პანდემიას ჩვენს ცხოვრებაზე. შემდგომ, თვითონ სამხრეთ კავკასიის რეგიონში გაჩაღდა კონფლიქტი, რომელიც ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა. ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად, პროექტის პერსონალს დაუღალავად შრომა უწევდა, რათა მუშაობის ტემპი შეენარჩუნებინა. ჩვენი კოლეგები ბრიტანეთის საბჭოდან ყველა ხერხის გამოყენებით ცდილობდნენ, რომ ყველა მოტივირებული და ჩართული ყოფილიყო. გვსურს მადლობა გადავუხადოთ ბრიტანეთის საბჭოს, იმისთვის, რომ პროექტის შესანარჩუნებლად არაფერი დაიშურეს, როცა პროექტის გაუქმება მათთვის ბევრად უფრო ადვილი გამოსავალი შეიძლებოდა ყოფილიყო. ბრიტანეთის საბჭოს Arts Manager-ები პროექტის პირველადი გეგმის შესაცვლელად დაუღალავად თანამშრომლობდნენ ჩვენთან. ამ პროცესში ჩვენს შორის მჭიდრო სამუშაო ურთიერთობები ჩამოყალიბდა, რომლებმაც ბევრ ჩვენგანს ყველაზე გრძელი ლოკდაუნები (ინგ.: lockdown) გადაატანინა.

გეგამ ღარიბიანის მიერ დამზადებული სხვა-და-სხვა ზომის თონირები თავისი სახელოსნოს გარეთ სოფელ არინჯში, კოტაიკის რეგიონი, სომხეთი. ფოტო: დიანა ჰოვჰანისიან

პანდემიის სწრაფ გავრცელებასთან ერთად 2020 წლის აპრილში უკვე გასაგები გახდა, რომ საერთაშორისო მოგზაურობა ახლო მომავალში შეუძლებელი იყო და რომ სამ-წლიანი პროექტის განხორციელება ონლაინ იქნებოდა საჭირო. ამის მიუხედავად, ძალიან შედეგიანი სამუშაო პროცესი გვქონდა და ჩვენი მიზნების მიღწევა შევძელით. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით გაძნელდა ისეთი პროექტის აქტივობების შესრულება, რომლებიც უშუალოდ ხელებით მუშაობას გულისხმობდა. დისტანციურმა მუშაობამ პროექტის ზოგი აქტივობა გააუმჯობესა კიდეც - მაგალითად, ონლაინ რეჟიმში შევძელით ღონისძიებებში ბევრად უფრო მეტი ბენეფიციარის ჩართვა. ასევე, უფრო ადვილად ვახდენდით ადაპტაციას განვითარებულ მოვლენებზე და შეგვეძლო ონლაინ ტრენინგის სესიები მოგვერგო მასწავლებლების განრიგზე ან საჭიროების შემთხვევაში, მათი ჩატარების დრო შეგვეცვალა. ონლაინ მუშაობამ გაზარდა ჩვენი წვდომა და კონტაქტის სიხშირე პროექტის მონაწილეებთან. გამოვლინდა, რომ რეგიონში ინტერნეტზე წვდომა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარები კვლავ განსავითარებელია რადგან მონაწილეების ნაწილთან ამ განხრით არაერთ პრობლემას გადავაწყდით. ამ გამოწვევის მიუხედავად, ყოველთვის ვპოულობდით გამოსავალს; ყოველთვის იყო საშუალება, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულები ვყოფილიყავით, იქნებოდა ეს მობილური ტელეფონების გამოყენებით, ციფრული ტექნოლოგიის გაზიარებით, სივრცის ქირაობით თუ პრეზენტაციების წინასწარი ჩანაწერების მომზადებით. ოსტატებთან ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სოფლებშიც კი, ინტერნეტი ბევრად უფრო ხელმისაწვდომი იყო ვიდრე თავდაპირველად ველოდით. ამან ცხადყო ციფრული სწავლების მეთოდების მნიშვნელობა, რასაც Crafting Futures პროგრამის ფარგლებში სამხრეთ კავკასიაში ვნერგავთ.

სამხრეთ კავკასიაში რეწვის ხელობების ტრადიცია მყარად არის დამკვიდრებული და შესანიშნავი ტექნიკური უნარებით და ტექნიკური

სწავლების მეთოდებით გამოირჩევა - როგორც კოლეჯებში, ასევე არაფორმალურსაგანმანათლებლოგარემოებში.პროექტისდასაწყისშირეწვის სექტორის და მასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების შეფასებისას, გამოვლინდა არა რეწვის ტექნიკური უნარების განვითარების საჭიროება, არამედ ამ სფეროში განათლების დიაპაზონის გაფარრთოების აუცილებლობა. არსებული შესაძლებლობები უმეტესად საბჭოთა პერიოდის მემკვიდრეობის აშკარა კვალს ატარებდა.

ვიმედოვნებთ, რომ პროექტის განმავლობაში შევძელით მასწავლებლებისთვის და რეწვის ოსტატებისთვის სწავლის და სწავლების ახალი მეთოდები გვეჩვენებინა. იმედია ეფექტურად შევძელით ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა, თუ რისი გაკეთება არის შესაძლო როგორც საკლასო ოთახში, ასევე სახელოსნოში. ამ თანამშრომლობის დახმარებით ვისწავლეთ უამრავი რამ საერთაშორისო თანამშრომლობის და კულტურათაშორისი კომუნიკაციის შესახებ.

ჩვენ ასევე მივხვდით რომ არსებობდა რეწვის სექტორის უკეთ შესწავლის საჭიროება,განსაკუთრებითკითაობათაშორისიდაარაფორმალურისწავლების განხრით. ჩვენი პროექტის განხორციელების პერიოდის გათვალისწინებით, შევძელით არა მხოლოდ რეწვის სექტორის გლობალური პრობლემების შესწავლა, არამედ ასევე იმ ცვლილებების, რომელიც ხალხს პანდემიის გამო 2020 და 2021 წელს შეეხო. ჩვენ მოგვეცა უნიკალური შესაძლებლობა გაგვეგო თუ როგორია იყო შემოქმედი ასეთ არაორდინალურ ვითარებაში. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენმა პროექტმა გაამდიდრა ცოდნა რეწვის შესახებ და ამავდროულად, ხელი შეუწყო რეგიონში კვლევის უნარების გაუმჯობესებას.

ფაზაილ ალაჰვერდიევის ჩაქუჩი მის სახელოსნოში, ლაჰიჩში. ფოტო: ადალათ ჰაჯიევი

საქართველო

საქართველოში შევიმუშავეთ და გამოვცადეთ შემოქმედებითი სწავლის მოდული. პროექტის ერთ-ერთ მთავარ შედეგად მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ შექმნილმა მოდულმა ეროვნული აკრედიტაცია მიიღო პროფესიულ სასწავლებლებში გამოსაყენებლად. ასევე ჩატარდა კვლევა ადგილობრივი რეწვის სექტორის შესახებ. სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში კვლევის ჩატარების თავდაპირველი შთაგონების წყარო ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევა "ტრადიციული რეწვა საქართველოში" იყო. კვლევის დასკვნების მიხედვით ვვარაუდობთ, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული მოდული სასარგებლო იქნება ისეთი ზოგადი შემოქმედებითი უნარების და აზროვნების განსავითარებლად, რომელიც რეწვის ოსტატებს გლობალურად არასტაბილურ გარემოებებთან გამკლავებაში დაეხმარება. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის "ეთნოფესტის" პლატფორმის მეშვეობით შევძელით ჩვენი სამუშაო პროცესი და მისი შედეგები საქართველოს და სამხრეთ კავკასიის რეწვის ოსტატებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან გაგვეზიარებინა. ამან მოგვცა საშუალება მყარი კავშირი დაგვემყარებინა რეწვის სფეროში მოღვაწე საზოგადოებასთან. პროექტის შესახებ მოვამზადეთ მოკლემეტრაჟიანი ვიდეო. კოვიდ 19-პანდემიის დროს ონლაინ ვიდეო ზარების დღის წესრიგში შესვლამ საშუალება მოგვცა საქართველოში "ეთნოფესტის" დროს ჩაგვეტარებინა ონლაინ პრეზენტაციები Crafting Futures პროგრამის, ჩვენი კვლევის და შემოქმედებითი სწავლის მოდულის შესახებ. ყველას ნაწილობრივ მაინც მოგვიწია საკუთარი შემოქმედებითი აზროვნება გაგვეღვიძებინა და ჩვენი სწავლების და კვლევის მეთოდების ციფრულ სივრცეზე ადაპტირება მოგვეხდინა. იმის მიუხედავად, რომ გამოკითხვები უმეტეს შემთხვევაში ფიზიკურ სივრცეში ჩატარდა, კვლავაც იყო შემთხვევები როდესაც პანდემიის ან ცვალებადი ამინდის გამო ინტერვიუების ციფრულად ჩატარება მოგვიწია. ჩვენი პროექტის და ერთად შესრულებული სამუშაოს წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პერსონალს.

კონტექსტი

პროექტი 2019 წლის ოქტომბრის ბოლოს დაიწყო საქართველოში ვიზიტით. ჩვენი საქართველოსთან გაცნობა მოიცავდა თბილისის ერთ-ერთ ცნობილ "იდუმალ" რესტორანში ვახშამს. ამ უბრალო, მოკრძალებულ შენობაში დავაგემოვნეთ უგემრიელესი კერძები, გავეცანით ადგილობრივების შესანიშნავ სტუმართმოყვარეობას და გავიცანით ადამიანთა საოცარი ჯგუფი, რომელთანაც მომავალში ვითანამშრომლებდით. თბილისში ასეთი იდუმალი რესტორნების შესახებ ხალხი ძირითადად ერთმანეთისგან იგებს. ისინი არიან საქართველოში გავრცელებული, ადამიანურ ურთიერთობებზე დაფუძნებული სოციალური კულტურის და საამაყო, მდიდარი გასტრონომიული კულტურის ნათელი მაგალითი. ქვეყანაში და ქალაქში მოგზაურობისას პროფესიული სასწავლებლების და რეწვის სახელოსნოების დათვალიერების დროს ყველგან სწორედ ასეთი უშუალობით, სტუმართმოყვარეობით და სიამაყით გვხვდებოდნენ. მასალების მოპოვებასთან დაკავშირებული სიძნელეების მიუხედავად, საქართველოში რეწვის სექტორის განვითარების რეალური იმედი და შესაძლებლობა არსებობს. განსაკუთრებით დამამახსოვრებელი მაგალითები საქართველოდან იყო: მატყლის პატარა საწარმო რომელსაც კაჭრეთში ვეწვიეთ, და შალის და აბრეშუმის ბუნებრივი საღებავებით დამუშავების ხერხების მიმდინარე კვლევები პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში.

თოვლით დაფარული ქვევრები ზაზა კბილაშვილის სახელოსნოში ვარდისუბანში, თელავის მუნიციპალიტეტში, კახეთის რეგიონში. საველე სამუშაოების დროს, მკვლევარებს ექსტრემალურ ამინთან მოუწიათ გამკლავება. ქვევრი დიდი ზომის კერამიკისგან დამზადებული ჭურჭელია, რომელსაც საქართველოში ღვინის ფერმენტაციისთვის იყენებენ. ფოტო: მაკუნა გოცაძე

კულტურული თვითრწმენა

საქართველოში კულტურულ და ეროვნულ თვითრწმენას უხვად ვხვდებით, თუმცა უდავოა, რომ ეს ქვეყანა და ადგილობრივი რეწვის ოსტატები გახსნილები არიან სამყაროში მიმდინარე მოვლენების მიმართ და რეწვის გლობალურ ტენდენციებს უწყობენ ფეხს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მმართველობის სისტემასთან და კვლევით საქმიანობასთან მიმართებაში.

თავდაპირველი ვიზიტები კავკასიაში დააგვირგვინა რეგიონულმა ფორუმმა რეწვის სექტორის წარმომადგენლებისთვის ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებიდან, რომელიც ფაბრიკაში (Fabrika Tbilisi) 2019 წლის შემოდგომაზე გაიმართა. ფაბრიკა თბილისის ერთ-ერთი ტრენდული ლოკაციაა, სადაც მრავალი ადგილობრივი ბიზნესი და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ ჰოსტელი დაგხვდებათ. საქართველო სწორედ რეგიონში თავისი მოხერხებული ლოკაციის და მსგავსი, სიცოცხლით სავსე ადგილების გამო არის იდეალური ადგილი კულტურული შეხვედრებისთვის. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დედაქალაქის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედებითი ეპიცენტრია ხანგრძლივი ისტორიით. აკადემიაში ასევე შეგხვდებათ თანამედროვე კვლევის და პრაქტიკების არაერთი საინტერესო მაგალითი. არ არის გასაკვირი, რომ საქართველოში რეწვის ოსტატების ეროვნული ქსელი არის დამკვიდრებული და მრავალი კვლევა ტარდება ტრადიციული რეწვის შესახებ. არსებობს გამოწვევები და წინააღმდეგობები მაგრამ საერთო სურათი რომელსაც საქართველო გვიქმნის, გვეუბნება, რომ ეს ქვეყანა გლობალურ ტენდენციებს თვალყურს ადევნებს. ეს ნათელია მის კულტურაში, მმართველ ორგანოებში და საზოგადოებაში. ამ საერთო სურათის მნიშვნელოვან ნაწილს, რა თქმა უნდა, ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები - ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი წარმოადგენენ. ორივე ორგანიზაცია მუდმივად იღწვის რეწვის პრაქტიკების საფუძვლიანად შესასწავლად და სექტორში საუკეთესო პირობების შესაქმნელად.

ნედლი მატყლი დამუშავებას ელოდება ალვანში, თუშეთის მატყლის ქარხანაში.
ფოტო: კიმ ბეგლი

რეწვა საქართველოში

ქართულ რეწვის ტრადიციას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. განსაკუთრებით განვითარებულია ხეზე კვეთა, ქსოვილზე მუშაობა და კერამიკა. ბოლოდროს პოპულარობა დაიბრუნეს თექაზე დატიხრულმინანქარზე მუშაობის ტრადიციებმაც. საქართველოში ბევრი ხელობა გასტრონომიის და სოფლის მეურნეობის ტრადიციებთან (მაგალითად, მევენახეობასთან) ასოცირდება. ადგილობრივი რეწვის სექტორი იზრდება, თუმცა ეს პროცესი პანდემიის გავლენის გამო შენელდა. ჩვენი კვლევის შედეგად (იხ. ქვემოთ) გამოირკვა, რომ საქართველოში რეწვის ოსტატები ნამუშევრების დიზაინში ტრადიციულ და თანამედროვე ელემენტებს ერთმანეთს უთავსებენ. ამასთანავე, ისინი ნამუშევრების შესაქმნელად ძირითადად მხოლოდ ტრადიციულ ტექნიკებს იყენებენ.

კვლევის მიმოხილვა

2020 წლის ზაფხულში, ონლაინ ვორქშოპების შედეგად მოვამზადეთ ორი კვლევის ასისტენტი და ერთი პროექტის მენეჯერი: მარიამ კახნნიაშვილი და სალომე ღვინიაშვილი, და ნათია ტრაპაიძე - ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის რეწვის პროგრამების კოორდინატორი. მოგვიანებით პროექტს მაკუნა გოცაძე შემოუერთა, რომელმაც იკისრა ფოტო დოკუმენტაციის შექმნა. კვლევამ მოგვცა შესაძლებლობა შეგვესწავლა ადგილობრივი რეწვის სექტორი: ამავდროულად, პროექტში ახალგაზრდა მკვლევრების ჩართვით ადგილობრივი კვლევის პრაქტიკის განვითარებაში შეგვეტანა წვლილი. არ უნდა უგულვებელვყოთ მკვლევრების გამოცდილება და შრომა. მარიამი ამჟამად ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის თანამშრომელია. სალომე მასწავლებლად მუშაობს და თავის ცოდნას ტრადიციულ რეწვის შესახებ და პროექტში მიღებულ გამოცდილებას ახალ თაობებს უზიარებს. რეწვის სექტორი საკმაოდ კომპლექსურია და არაერთ დაინტერესებულ მხარეს მოიცავს გარდა თვით ოსტატებისა და მათი ნამუშევრების მყიდველებისა. ადგილობრივი და საერთაშორისო მკვლევრები, მწერლები, ჟურნალისტები, მასწავლებლები და ფასილიტატორები, მუზეუმების თანამშრომლები, კოლექციონერები და ბევრი სხვა სფეროს წარმომადგენელი საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეწვის სექტორის გაძლიერებაში. პროექტში ფოკუსირება მოვახდინეთ კვლევაზე და განათლებაზე.

ჩვენმა კვლევამ წვლილი შეიტანა მოცემული სექტორის კვლევების მზარდ დიაპაზონში. მისი ონლაინ წარდგენა მოხდა “ეთნოფესტ 2022”-ის ფარგლებში. ღონისძიება მოიცავდა პანელურ დისკუსიას, სადაც რამდენიმე სხვა კვლევა და განვითარების პროექტი იქნა წარდგენილი. ეს ცხადყოფს, რომ პანდემიის და რეგიონში არსებული კონფლიქტური სიტუაციების გავლენის მიუხედავად, მეცნიერული კვლევის და საგანმანათლებლო სფეროები განვითარების პროცესში არიან.

ჩვენმა მკვლევართა გუნდმა 50 რეწვის ოსტატი გამოჰკითხა. მათი ასაკი ოცდარვა წლიდან ოთხმოცდარვა წლამდე მერყეობდა. გამოკითხულთა ნაწილი საქართველოს შვიდი სხვადასხვა რეგიონიდან იყო, ნაწილი კი - დედაქალაქიდან. ტექსტილზე მომუშავე ოსტატების უმრავლესობას კვლავ ქალები წარმოადგენენ; ხოლო ლითონის, კერამიკისა და ხის ნაკეთობებზე უმეტესად კაცები მუშაობენ. ეს ტენდენცია ფართოდ გავრცელებულია როგორც კავკასიის რეგიონში, ასევე გლობალურად. ქართველი ოსტატები ნედლ მასალას ძირითადად ადგილობრივი გამყიდველებისგან იძენენ, თუმცა მასალების უმეტესობა სხვადასხვა ქვეყნებიდან არის იმპორტირებული. ტურიზმი კვლავ ძალზედ მნიშვნელოვანია სექტორის განვითარებისთვის, მაგრამ ოსტატების უმეტესობას ადგილობრივ ბაზართანაც აქვთ წვდომა. ოსტატების უმრავლესობა ინტერნეტს უმეტესწილად კომუნიკაციისთვის და არაფორმალური გაყიდვებისთვის იყენებს და არა - ონლაინ ვაჭრობის ოფიციალურ პლატფორმებად.

ხელობისა და საგანმანათლებლო გამოცდილების გარდა, რესპონდენტებს ასევე დავუსვით შეკითხვები ინტერნეტის გამოყენების და გარემოსდაცვითი მდგრადობის შესახებ, რადგან ეს ორი სფერო მნიშვნელოვანია გლობალურად რეწვის ოსტატებისთვის, მყიდველებისთვის, კოლექციონერებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. ტრადიციული რეწვა ხშირად თავისი არსით მდგრადია და არ აზიანებს გარემოს, რადგან წარმოება მცირე მასშტაბის არის და თვითონ ხელობა პირადული და ემოციური მნიშვნელობის მატარებელია ოსტატებისთვის. ამის მიუხედავად, რეწვის ოსტატების დიდმა ნაწილმა ჯერ არ იცის როგორ გამოიყენოს გლობალურად გავრცელებული მდგრადობის ტერმინოლოგია და ე.წ. გრინვოშინგის (ინგ.: greenwashing) მსხვერპლი არ გახდეს. რეწვის ოსტატებს ინსტინქტურად ესმით საკუთარი ხელობის მნიშვნელობა მაგრამ შესაძლოა არ ჰქონდეთ ამის გამოხატვისთვის საჭირო ლექსიკონი ან თავდაჯერებულობა. ჩვენმა რესპონდენტებმა გვითხრეს, რომ გარემოზე ზრუნავენ. ხშირად საკუთარი ხელობა (მაგალითად, ხეზე ამოტვიფრა) მათ თავისი გარემოსა და ბუნების აქტიურ მცველებად აყალიბებს. ჩვენი კვლევა მიუთითებს, რომ რეწვის სექტორში მომუშავე ოსტატებისთვის სასარგებლო იქნებოდა საკუთარი ხელობის, და მისი გარემოსთან კავშირის შესახებ თხრობის უნარების გაუმჯობესება. ასევე, სექტორზე სასიკეთო გავლენა ექნებოდა ისეთი ადგილობრივი ნედლი მასალის წარმოების ინიციატივების მხარდაჭერას, როგორიც ჩვენს მიერ კაჭრეთში მონახულებული პატარა მატყლის საწარმო იყო. ამის შედეგად, ოსტატებს მეტი ინფორმაცია და კონტროლი ექნებოდათ იმ მასალის წარმომავლობაზე, რომელსაც იყენებენ. ის პოზიტიური და ინტერესით სავსე დამოკიდებულება, რომელიც პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტის გუნდმა საქართველოში ნახა ადასტურებს, რომ ეს ყველაფერი მიღწევადია სათანადო მხარდაჭერის და უნარების განვითარების შედეგად.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ბევრმა არაფორმალური განათლების მქონე და თვითნასწავლმა ოსტატმა. ზოგადად, გამოკითხულთა უმრავლესობამ სურვილი გამოთქვა, რომ თავისი ხელობა და უნარები სხვებს გაუზიაროს. როგორც გაირკვა, ახალგაზრდებიც საკმაოდ დაინტერესებულები არიან თუმცა როგორც ჩანს, მათ დამატებითი წახალისება სჭირდებათ, რომ ამ საქმეს ხელი

მოჰკიდონ და რეწვის სექტორში კარიერის აწყობა სცადონ. ბევრი ოსტატი საკუთარ სახლში მდებარე სახელოსნოში იღებს მოსწავლეებს. ამასთანავე, მოსწავლეების უმრავლესობა ოჯახის წევრი ან ნათესავი არ არის. კვლევამ გამოავლინა არაფორმალური განათლების სექტორის მხარდასაჭერად მეტი სახელოსნო სივრცის შექმნის საჭიროება. საქართველოში რეწვის არაფორმალური სწავლების განვითარების გათვალისწინებით, ასევე გამოვლინდა მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის მეტი ტრენინგის შეთავაზების საჭიროებაც.

კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ პანდემიის შედეგად ოსტატების დიდი ნაწილისთვის რეწვისგან მიღებულმა შემოსავალმა დაიკლო. ამის მიუხედავად, ამ პერიოდში მხოლოდ გამოკითხულთა მცირე ნაწილმა შეცვალა ან ადაპტირება გაუკეთა თავის პრაქტიკას. ეს მიგვანიშნებს, რომ შემოქმედებითი აზროვნება, წარმოსახვა და შემოქმედებითი მეწარმეობა საჭიროა სექტორის განვითარებისთვის და მისი სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის. ეს მინიშნება კი საკმაოდ შესაბამისი აღმოჩნდა, რადგან საქართველოში Crafting Futures პროგრამას შემოქმედებითი საგანმანათლებლო კომპონენტიც ჰქონდა.

ჯამები და თავსახურიანი ჭურჭელი მოჭიქვის მოლოდინში როლანდ ცარციძის კერამიკის სახელოსნოში ჯალაურთაში (საჩხერე, იმერეთის რეგიონი, დასავლეთ საქართველო). ფოტო: მაკუნა გოცაძე

საგანმანათლებლო მოდულის მიმოხილვა

საქართველოში შევამჩნიეთ რეწვის სექტორში პროფესიული პრაქტიკების გაუმჯობესების გადაუდებელი აუცილებლობა და მძაფრი სურვილი, განსაკუთრებით განათლების სფეროში რათა უახლეს გლობალურ ტენდენციებს დაეწიონ. სწორედ ამან ჩაუყარა საფუძველი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელ ნინო ხითარიშვილთან თანამშრომლობით, შემოქმედებითი სწავლის მოდულის შექმნას. მოდულის სამიზნე აუდიტორია ის სტუდენტები არიან, რომლებიც პროფესიულ სასწავლებლებში სხვადასხვა შემოქმედებით საგნებს სწავლობენ. მოდული მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს განივითარონ იდეების მოფიქრების, შემოქმედებითობის და თვითრეფლექსიის უნარები. პრობლემების გადაწყვეტის შემოქმედებითი მეთოდების გამომუშავება განსაკუთრებით გამოსადეგია ნებისმიერ შემოქმედებით სფეროში კარიერის შესაქმნელად მაგრამ ასევე, ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი რეფლექსიური და კრიტიკული აზროვნების უნარების გაუმჯობესებაში. იმის მიუხედავად, რომ ჩვენი პროგრამის ფარგლებში შემოქმედებითი სწავლის მოდული ცალკე კურსად შევქმენით, მისი გამოყენება ასევე შეიძლება სხვა პროფესიული განათლების საგნებთან ინტეგრირები, როგორც ზოგადი სწავლა-სწავლების მიდგომისა, რომელიც ხელს უწყობს პედაგოგების მხრიდან ექსპერიმენტირებას და კრეატიულობას სწავლების პროცესში. ვიმედოვნებთ, რომ ეს მოდული საწყისი წერტილი იქნება საქართველოში მომავალი საგანმანათლებლო განვითარებებისთვის.

ასევე აღსანიშნავია მოდულის შემუშავების და ტესტირების პროცესში საქართველოში მასწავლებლებისთვის ჩატარებული ონლაინ ტრენინგების მნიშვნელოვანი წვლილი. პროექტის დასაწყისში, სამაგიდე კვლევამ აჩვენა რეწვის ოსტატების თემში ურთიერთკავშირების ხელშეწყობის მნიშვნელობა. ოსტატების და მასწავლებლების მცირე ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო ჯერ კიმ ბეგლის (ნიკ ქროულის მხარდაჭერით) მიერ დაგეგმილი მოდულის შემუშავების ვორქშოპებში და შემდგომ, ნინო ხითარიშვილის და დოქტორ ნატალია ირნსტმენის მოდულის პილოტირების სესიებში. პილოტირების სესიების დროს მასწავლებლებს ჰქონდათ შესაძლებლობა ახლად შემუშავებული მოდული სასწავლო პროცესში, მშვიდ გარემოში გამოეცადათ და რეგულარული დისკუსიის სესიები ჰქონოდათ კოლეგებთან. ვიმედოვნებთ, რომ ამ აქტივობამ შესაძლოა მომავალში მასწავლებლების და რეწვის ოსტატების ქსელს ჩაუყაროს საფუძველი.

რეკომენდაციები

რეწვის და ბიზნესის პრაქტიკები:
პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია რეწვის სექტორის ზრდის ტრაექტორიაზე, რასაც შესაძლოა რეგიონში შექმნილი პოლიტიკური არასტაბილურობის გავლენაც დაემატოს. შესაბამისად, ახალი ინიციატივების მთავარი მიმართულება მცირე ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის ხელშეწყობა და ადგილობრივი ბაზრის გაზრდა უნდა იყოს. ასევე საჭიროა რეგიონში არსებული ციფრული წიგნიერების დონის სასიკეთოდ გამოყენება და ისეთი შემოქმედებითი საგანმანათლებლო ინიციატივების ინიცირება, რაც ტექნიკური უნარების სწავლებასთან ერთად, ადაპტაციის უნარებს, წარმოსახვას და შემოქმედებითობას შეუწყობს ხელს. შედეგად, გაჩნდება მეტი თაობათაშორისი ცოდნის გაცვლის, და ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებს შორის გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა. ასევე

ნათია ტრაპაიძე უტარებს ინტერვიუს გიოგი ნიფარიშვილს თავის ხის სახელოსნოში, კასპში, შიდა ქართლის რეგიონში. COVID-19 პანდემიის გამო, მკვლევარები იცავდნენ უსაფრთხოების ნორმებს საველე სამუშაოების დროს. ფოტო: მაკუნა გოცაძე

სასარგებლო იქნებოდა მენტორობის და თანატოლებისგან სწავლის სისტემების შემუშავება.

როგორც ჩვენმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, საკუთარი სახელოსნო სივრცის ქონა - იქნება ეს მათ სახლში თუ სახლს გარეთ - მნიშვნელოვანია როგორც ნამუშევრის შექმნის პროცესში, ასევე მისი გაყიდვის დროს. შესაბამისად, წვდომა საერთო სახელოსნო სივრცეებზე ან სხვების სახელოსნოებში მუშაობის შესაძლებლობები, შეიძლება ძალზედ დაეხმაროს იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც სურთ დაეუფლონ ხელობას და რეწვის სექტორში განავითარონ საკუთარი კარიერა.

სწავლება და სწავლა:
ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ხელოვნების და კულტურის ცენტრებმა პროფესიონალ რეწვის ოსტატებს და სხვა მსურველებს დამატებითი, ნახევრად ფორმალური შერჩევითი კურსის სახით შესთავაზონ Crafting Futures პროგრამის ფარგლებში შექმნილი შემოქმედებითი სწავლის მოდული. კურსში ხაზგასმულია რეფლექსიური სწავლა, რაც შესაძლოა არაფორმალური განათლების მქონე ოსტატებს და მათ მოსწავლეებს რეფლექსიური პრაქტიკის გამომუშავებაში დაეხმაროს.

როგორც კვლევის და ასევე მოდულის შემუშავების პროცესში ნათელი გახდა რომ ერთმანეთთან გამოცდილებების გაზიარება დაეხმარებოდა როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მომწოდებლებს თავისი თემისა და ინდივიდუალური პრაქტიკის გაუმჯობესებაში. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონში რეწვის სფეროში მიღებული განათლების დიდი ნაწილი არაფორმალურია, ფორმალური საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებს ვურჩევდით, რომ შეხვდნენ ოსტატებს, რომლებიც არ ასწავლიან კოლეჯებში ან უნივერსიტეტებში, გაეცნონ მათ მეთოდიკას და ამით საკუთარი სწავლების პრაქტიკა გააფართოონ.

ტარიელ ზაქაშვილი, დურგალი და მასწავლებელი, თავის სახელოსნოში კაჭრეთში, კახეთის რეგიონში, აღმოსავლეთ საქართველო. ფოტო: მაკუნა გოცაძე

მდგრადობა

არსებობს რეალური პოტენციალი, რომ შეიქმნას ვორქშოპები, ფორუმები და სხვა საგანმანათლებლო შესაძლებლობები, რომლებიც რეწვის ოსტატებს დაეხმარება გაერკვნენ თუ როგორ შეძლონ გარემოს დაცვითი მდგრადობის პრინციპების ინკორპორირება როგორც საკუთარი შემოქმედების შესახებ ასევე შთამბეჭდავი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ნარატივში.

მოსაქსოვად გამზადებული ტირიფი და კალათის ძირები ზურა ქოსაშვილის სახელოსნოში ქვემო გომში, შიდა ქართლში. ფოტო: მაკუნა გოცაძე

ზაზა ალადაშვილი, მჭედელი, ათბობს ლითონს ფორმირებისთვის თავის სახელოსნოში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, კახეთის რეგიონში, აღმოსავლეთ საქართველო. ფოტო: მაკუნა გოცაძე

ტყავის უნაგირების დამზადების პროცესი ნუგზარ ზედგენიძის ტყავის ნაკეთობების სტუდიაში ახალციხეში, სამცხე-ჯავახეთში. ფოტო: მაკუნა გოცაძე

დანართები

მონაწილეების სია

დიდი ბრიტანეტი
პლიმუთის ხელოვნების უნივერსიტეტის პერსონალი:

ასოცირებული პროფესორი ჯუდიტ ნობლი (აკადემიური კვლევის ხელმძღვანელი)
დოქტორი კიმ ბეგლი (Making Futures-ის სამეცნიერო საზოგადოების წევრი; წამყვანი მკვლევარი)
დოქტორი ნატალია ერნსტმანი (უფროსი ლექტორი)
რეიჩელ დარბორნი (ლექტორი)
ნიკ კროული (განათლების ტექნოლოგი)
ტიმ დიკინსონი (სწავლა და სწავლება)
პროფესორი სტივენ ფელმინჰემი (პროვიცე კანცლერი, აკადემიკოსი)
ლიზ ევანსი (მომზადებითი პროგრამის ლექტორი)
მედი ბლაითი (კურიკულუმის მენეჯერი, მომზადებითი პროგრამა)
მელ ბრაუნი (დიზაინისა და კომუნიკაციის დეკანის ასისტენტი)
სტეფანი ოუენსი (აკადემიური დეკანი)
იან ჰენკი (მთავარი ტექნიკოსი)
ბენ მუნდი (ტექნიკური რესურსების მენეჯერი)
შარლოტა უორენი (ლექტორი)
მატიას შორტკუკი (მომზადებითი პროგრამის დეკანი 2020 წლამდე)

ბრიტანეთის საბჭო
გალინა კორეცკაია (პროგრამის მენეჯერი, Crafting Futures პროგრამა, ცენტრალური აზია და სამხრეთ კავკასია)
კატია სტიუარტი (პროგრამის მენეჯერი, Crafting Futures პროგრამა, 2020 - 2022 წწ.)
კენდალ რობინსი (პროგრამის მენეჯერი, Crafting Futures პროგრამა, 2019)

საქართველო

მონაწილე ორგანიზაციები და კოლაბორანტები:

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი (GACC)
ხარისხისა და განვითარების ეროვნული ცენტრი (სსიპ)
პროფესიული კოლეჯები საქართველოს მასშტაბით, მათ შორის: მერმისი, კოლეჯი SBA, წინამძღვრიანთკარი, აისი, ახალი ტალღა, ინტერბიზნესის აკადემია და განთიადი.

მონაწილეები და ინდივიდუალური კოლაბორანტები:

მაია დარჩია (ბრიტანული საბჭოს ხელოვნების მენეჯერი)
გიორგი რაზმაძე (ბრიტანეთის საბჭოს პროექტის მენეჯერი)
ქეთევან ტვილდიანი (ბრიტანეთის საბჭოს პროექტის მენეჯერი)
ზაზა ფურცელაძე MBE (ბრიტანეთის საბჭოს ქვეყნის დირექტორი და სამხრეთ კავკასიის დირექტორი)
მაკა დვალიშვილი (დირექტორი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი)
ნათია ტრაპაიძე (რეწვის პროგრამის კოორდინატორი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი)
თამარ კიკნაძე (პროგრამების განვითარების მენეჯერი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
ნინო ხიტარიშვილი (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხარისხის განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)
კახაბერ ერაძე (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე)
თამთა შავგულიძე (ლექტორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია)
ანა ჩხიკვაძე (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო)
დავით პაპაშვილი, (ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, დირექტორის მოადგილე, კოლეჯი აისი)
სალომე ღვინიაშვილი (კვლევის ასისტენტი)
მარიამ კაკნიაშვილი (კვლევის ასისტენტი და მთარგმნელი)
მაკუნა გოცაძე (ფოტოგრაფი)

სტუდენტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მოდულის პირველადი ვერსიის განვითარების ვორქშოპებში:
ელენე ბლუაშვილი
დიმიტრი ძიძიკაშვილი
თაკო ფაღავა
რუსუდან მაისურაძე
გიორგი ქვაცაბაია
ნონა მელაძე
ნინო ბუხაიძე
ინგა თევზაძე
ნურანა გუსეინოვა
მონიკა პეტროსიან
ლუკა ფანქველაშვილი

მასწავლებლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მოდულის პირველადი ვერსიის განვითარების ვორქშოპებში:
ტარიელ ზაკალაშვილი*
იამზე ალუღიშვილი
რამაზ გახუტიშვილი
ნინო ჩანთლაძე*
გიული გიუაშვილი*
ხათუნა ფარეიშვილი*
თინათინ არჯევანიძე
ოლგა რუხაძე
ნინო გზირიშვილი*
ნანული აბესაძე
სალომე აბუთიძე
გიორგი კოსტანიშვილი
პაატა ცაგარეიშვილი
მანანა ხვინგია
სოფიო კაკაურიძე*
ეკა*
*მასწავლებლები, რომლებმაც მოდულის საწყისი განვითარების ვორქშოპების გარდა, ასევე მონაწილეობა მიიღეს მოდულის პილოტირების სრულ პროცესში თავიანთ სტუდენტებთან ერთად.

სტუდენტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მოდულის სრულ პილოტირებაში მასწავლებლებთან ერთად:
თეა ბარამაშვილი
ნათია ბუთხუზი
მეგი პეტურაშვილი
ვალერი ჯაჯანიძე
ხათუნა ამკოლაძე
ალექსანდრე კანკაძე
მაგდა შავიშვილი
ნანა ხიტარიშვილი
ნათია გოგინაშვილი
ლევან ციკარიძე
ნანა ბითაძე
ირინა ჭინჭარაული
დიანა ძებისაშვილი
თამარ ბოკუჩავა
ენ გამხიტაშვილი
მარიამ ლოსევა
კრისტინა შანიძე
დავით იაძე
თამარ ხასაია
ირაკლი უფლისაშვილი
მეგი კვირკველია
ლილი ჩოლოიანი
განირა სულეიმანოვა
საბა ნოზაძე
ლევან ამირიძე
იოანე ხუციშვილი
მარიამი გაბრიელაშვილი
მურადი ფაცაცია
ანი ბუჯიაშვილი
მარიამ გეტია
დიანა არაქელოვა
ბესიკ აფხაძე
მარინე გოგაშვილი
გივი დანამიანი
სოფიო ჩოკოშვილი
ლარისა ჭილაშვილი
რუსუდან მაისურაძე
ელეონორა მახარაშვილი
ცირა დოლაშვილი
თამთა კუსრაშვილი
მედეა პაპიძე
გელა გიგილოშვილი
გიორგი რუსიშვილი
დათო კექვიაშვილი
ლევან ბეროშვილი
გიორგი თოდუა
გიორგი კახელი
ნიკა გელაშვილი
მანუჩარ სურმანიძე
გიორგი ქაცლიშვილი
გიორგი მიხელიძე
თებრონე თურმანიძე
ელენე დავითაია
ციური დიასამიძე
გოგმაჩაძე
ლიზი ვერულიძე
მზია შავაძე
ინგა დუმბაძე
თამრიკო ბერაძე
ქრისტინა აბულაძე
მონიკა პეტროსიან
მარიამ ჩხიკვაძე
ციცინო ურთაშვილი
ციცინო გულიშვილი
მარიამ მაზმიშვილი
ეკატერინე ბარბაქაძე
თამარ გლურჯიძე
ნონა მელაძე
სოფიო გოგშელიძე
კეთევან მამაცაშვილი

მადლობას ვუხდით ყველა ოსტატს მთელი საქართველოდან ჩვენი კვლევის ფარგლებში, გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებისთვის.

058